ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი კურსდამთავრებული თავს არიდებს განაწილების მიხედვით რაიონში სამუშაოდ წასვლას.

— გიგა, ესენი უცხოელი ტურისტები არიან?!
— არა, კაცო, ექიმები ვართო, ამბობენ!
— მერე და საქეიფოდ თუ მოსწონთ ჩვენი სოფელი, სამუშაოდ რად არ მოდიან?!

№ 13 თბილისი ივლისი 1962

ნიანგი

გამოცემის XXXX წელი, ფასი 20 კაპ.



29 ივნისს ქენევაში გამართულ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა დაამარცხეს მადრიდის „რეალი“ და მოიპოვეს ევროპის თასი.

ვადლეგრძელებთ თქვენს მარჯვობას,
ხელმარდობას, თვალმარდობას,
ევროპაში გამარჯვებას,
შავარდნულად ნავარდობას,

გამძლეობას და მძლეობას,
გასახარად ბევრ ათასის,
თქვენს ჭაბუკურ მზეგრძელობას
ვადლეგრძელებთ თქვენივ თასით

და ფეხბურთშიც მოვისურვებთ,
როგორაც თქვენ გვასახელეთ,
სწორედ ისე გვასახელონ
თქვენმა თანამოსახელეთ.



რესტორან-საპარიკმახერო

ყველა რესტორანი რომ პრინციპში საპარიკმახეროს ჰგავს და ყველა ოფიციანტი პარიკმახერს, ეს კი იცოდა, ნიანგმა, რადგან ორთავე დაწესებულებაში მომხმარებელს ერთნაირად კრეჭენ და ატყავებენ, მაგრამ ამ მოვლენას თუ ასეთი ოფიციალური ხასიათი მიეცემოდა, არ ეგონა. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა ერქვას საგნებს თავიანთი სახელი? ჰოდა, ინიციატივა ისევ გორის სასტუმრო „ინტურისტმა“ გამოიჩინა. მან ჯერ კიდევ ორი წლის წინ განცხადებაც კი გამოაკრა სასტუმრო „ინტურიტის“ სადარბაზოზე: „ისარგებლეთ პირველი კლასის სასტუმრო ინტურისტით, სასტუმროსთან მუშაობს რესტორანი-საპარიკმახერო“.

როგორც ხედავთ, წარწერა საკმაოდ ორიგინალური და რესტორნის სახელწოდება პირდაპირ განსაცვიფრებელი. ახლო მომავალში ალვილი შესაძლებელია გორში გაიხსნას სასტუმრო „სახარაზო“, სასტუმრო „სარემონტო“, სასტუმრო „ხიმჩისტკა“ და სხვა. ტურისტებო და ინტურისტებო, ნუ ჩაუვლით გულგრილად ამ ამაღელვებელ წარწერას.

ეს ის ბატები არ გეგონოთ, რომი რომ გადაარჩინეს, მაგრამ, როგორც თვითონ ყიყინებენ, მათი შთამომავალნი არიან და ახლა ქ. ოჩამჩირის ქალაქის საბჭოს მესვეურებს ქებით იხსენიებენ, რომ ნინოშვილის ქუჩა უპატრონოდ მიაგდეს და ამით მათ საცურაო გუბეები გაუჩინეს.

როგორც ჩანს, ბატები მართლაც კარგად გრძნობენ აქ თავს, მაგრამ მანქანებმა რა ქნან, ტალახში რომ ეფლობიან, მოსწავლეებმა რა ქნან, — გუბეებში რომ ცვივიან. ღამით ვინ დაეძებს, დღისით ჭირს გავლა. მცხოვრებთა ხვეწნა-მუდარას არავინ უგდებს ყურს, როგორც გინდოდეთ, ისე გადით და გამოდით, ჩვენ თავი დაგვანებეთო.

ქალაქის საბჭო იმასაც ამბობს ამ ქუჩის კეთილმოწყობა რკინიგზის საქმეაო, რკინიგზა ქალაქის საბჭოსაკენ იშვერს რელსებს, წინ იყურეთ, თქვენი საქმე ნახეთო.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია ერთნიც და მეორენიც ერთ ორჯერ მაინც გავატაროთ ამ ქუჩაზე, იქნება რომელიმემ ან ორივემ გაუწიონ მას პატრონობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერტმფრენი

რაჭაში რომ ცუდი გზები იყო, ეს ჯერ კიდევ აკაკი წერეთლის მოგზაურობიდან იციან მკითხველებმა, მხცოვანი პოეტი სულ ხელით უტარებიათ რაჭაში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა რიონის კალაპოტში და ახლა უკვე თამამად შეიძლება ფეხით სიარული, ოღონდ მანქანით ნურას უკაცრავად. და, რადგან ჩვენ აკაკივით პატივსაცემნი არ ვიყავით და ხელით არავინ გვატარებდა, ხოლო ფეხით სიარულის არცთუ ისე დიდი სურვილი გვქონდა, ამიტომ დავიქირავეთ ჩვეულებრივი ვერტმფრენი, გავიყოლიეთ რაჭის ისტორიისა და გეოგრაფიის სპეციალისტი და რამდენიმე საათში შვეულივით დავეკიდეთ რაჭის მობბინე სერებსა და დათოვლილ ქედებს.

— ამბროლაურის რაიონი, — თქვა ჩვენმა გიდმა და ამბროლაურის სანახებისაკენ თითი გაიშვირა, ვერტმფრენმა ოდნავ დაბლა დაიწია. უცებ გამოჩნდა მამაკაცი, რომელიც ბატონკაცურად დასეირნობდა და მილიციის მუშაკებს ტუქსავდა.

— ო, ალბათ, ეს ვინმე დიდი თანამდებობის პირია, — ვკითხეთ გიდს.

გიდი დააკვირდა ზვიადად მოსეირნე კაცს და ღიმილით გვიპასუხა:

— არა, ბატონო, ეს ამბროლაურის კოოპვაჭრობის მაღაზიის ყოფილი გამგე ამბროსი ნიკოლაშვილია.

დალოცვილი, ისე დადის, გეგონებათ რაჭის ერისთავიაო.

— რატომ არ ივლის, ამას წინათ ორნახევარი ტონა, მოსახლეობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ხორბალი იყიდა მაღაზიიდან ჩვეულებრივ ფასებში, ქუჩის მეორე მხარეს გადაიტანა თავის მაღაზიაში და გადიდებულ ფასებში გაყიდა.

— აკი კოოპვაჭრობა რაიონებიდან უნდა იძენდეს ხორბალსო?

— ეგ არ შეშლია ამბროსის, სწორედ ასე გაიფორმა, რაიონებში შევიძინეო.

— მერე?

— მერე რა, წინათაც ჩავარდა ასეთი საქმისათვის, მაგრამ ყურებზე ხახვიც ვერ დაიჭრეს.

— ახლა მოხსნეს მაინც?

— მოხსნეს კი არა, შვიდ მარტს წელიწადნახევარი მიუსაჯეს. ამბროსიმ იწყინა და გაასაჩივრა, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა.

— რაღაც არ ეტყობა მაგას მისჯილი რომ ჰქონდეს, ალბათ საპატიმროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და თავისუფლად სეირნობის უფლებასაც აძლევენ.

—რას ბრძანებთ, ბატონო, პატიმრობაში საერთოდ არ აუყვანიათ და, მგონია, არც აპირებენ.

ვერტმფრენმა თელებით დაბურულ ტყეს გადაუარა. ერთ ადგილას ტყე გამელოტებულიყო.

— რა უცნაური მდელოა ამ შუა ტყეში! — წამოვიძახეთ.

— თუ ამბროლაურის რაიონის სატყეო მეურნეობას ლანჩავასნაირი დირექტორი ეყოლება, მთელი რაჭა მალე მდელოდ გადაიქცევა, — გაიღიმა გიდმა.

— როგორ? — დავინტერესდით ჩვენ:

— როგორ და ამ ადგილზედაც ისევე იწონებდა თავს თელა, როგორც ირგვლივ, მაგრამ მოვიდა ლანჩავა, 43 კუბომეტრი თელა გადათელა, 20 კუბომეტრი მომჭრელს უფეშქაშა, ხოლო თავისი კუთვნილი 23 კუბომეტრი ფიცრებად აქცია და სპეკულანტურ ფასებში გააიმასქნა.

— კარგი მადა ჰქონია ლანჩავას.

— მადა, იცოცხლეთ, საკუთარი ღორების ფერმაც ჰქონდა სამი წლის განმავლობაში.

— მერე და ვინ უვლიდა ამდენ ღორს?

— სატყეო მეურნეობის მეჯინიბე.

— ცხენებს ვინღა უვლიდა?

— ცხენები სატყეო მეურნეობას არ ჰყოლია არასდროს, მაგრამ ლანჩავა შტატს ხომ არ გააუქმებდა და მეჯინიბეს ტყუილად ხომ არ მოაცდენდა, სასწრაფოდ შეაცვლევინა მეჯინიბეს პროფესია და საკუთარ მეღორედ აქცია.

— უყურე შენ ლანჩავას!?

ვერტმფრენმა გეზი ხიდკრის კოლმეურნეობისაკენ აიღო. თვალი მოგვტაცა ფერდობებზე შეფენილმა ახალშეწამლულმა ვენახებმა.

— ალბათ წელს ყურძნის დიდი მოსავალი იქნება, — ვთქვით ჩვენ და ხვანჭკარის არომატის გახსენებით გამოწვეული ნერწყვი გადავყლაპეთ.

— ეჰ, — სევდიანად ამოიოხრა გიდმა, — შარშანაც არა უშავდა მოსავალს, მაგრამ ჩვენს კოლმეურნეობას იმდენი არაფერი დატყობია. კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოდგილემ თეოფილე ნიკოლაშვილმა კოლმეურნეობის კუთვნილი ნახევარ ტონამდე ყურძენი ინჟინერ სოსო პაპუაშვილის სახელზე ისე გააფორმა, ისე ჩააბარა დამზადებას, ისე აიღო 193 მანეთი და ისე ჩაიკუჭა ჯიბეში, რომ პაპუაშვილსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გაკვირვებისაგან თვალები ახლაც შუბლზე აქვთ ასული, — ეს რა გვიქნაო.

ამავე კოლმეურნეობის ბუღალტერი პეტრე საგანელიძე უფრო დიდი გაქანების კაცი აღმოჩნდა და კოლმეურნეობის 1250 კილოგრამი ყურძენი დამზადების კანტორისაკენ გააქანა. ყურძენი ვისიაო, რომ შეეკითხნენ, არც დაფიქრებულა, ისე უთხრა — პარიკმახერ აბიბო ენუქიძის ვენახისაო. აპილპილდა აბიბო, ვინ მე და ვინ ვენახი, არც არასოდეს მქონია და არც ახლა მაქვსო.

— მაინც რამდენი აიღო პეტრე საგანელიძემ?

— 622 მანეთი უნდა აეღო, მაგრამ გაუგეს და ვეღარ მოასწრო. ახლა თეოფილე და პეტრე სხეულ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს .

ონის რაიონი — ამბობს გიდი. ვერტმფრენმა მდინარე ქვედრულას გადაუარა. მდინარის მარცხენა ნაპირზე ხის პატარა ქოხები დგას. ქოხების წინ შადრევანი ამოჩქეფს.

— ეს რა წყალია? — ვეკითხებით გამყოლს.

— სამი წელია, რაც ამ შადრევანმა ამოხეთქა, მინერალური წყალია. ამის თაობაზე საკურორტო სამმართველოს მიმართვა გაეგზავნა. წყალს საუკეთესო თვისებები აღმოაჩნდა.

— მერე იმიტომ მიატოვეს ასე უპატრონოდ?

— პასუხად ბალნეოლოგიური კვლევითი ინსტიტუტიდან გვაცნობეს, რომ მაისის თვეში კომისია ჩამოვაო, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა შადრევანმა აიარა.

— ეს ქოხები ვიღას ეკუთვნის?

— კერძო პირებმა ააშენეს, დაილოცოს მათი მარჯვენა. ავადმყოფებს წყალტუბო რომ ვერ შველის, აქ ჩამოდიან და განკურნებულები ბრუნდებიან. თქვენ წარმოიდგინეთ, ბალნეოლოგიური კვლევითი ინსტიტუტისათვის რომ ეცადათ, ახლაც დავრდომილები იქნებოდნენ.

ვერტმფრენმა გზა განაგრძო, ნიკორწმინდა უწერა, შოვი, მიგვითითებს გიდი, დაბლა კი მიიკლაკნებიან მდინარეები, ბილიკები და შარაგზები. ერთ-ერთ შარაგზაზე რაღაც მიბობღავს.

— ნეტავი, რა უნდა იყოს? — გვიკვირს ჩვენ.

— ეს ქუთაისის სოიუზტრანსის მანქანაა, შოვისკენ მიჰყავს დამსვენებლები, მაგრამ მაგათ შოვი კი არა, ვერავფერი ვეღარ გამოკეთებს.

— გვეუბნება გიდი და უიმედოდ იქნევს ხელს.

— რატომ, რატომ? — ვეკითხებით.

— რატომ, ბატონო, და ამ ისედაც დანგრეულ გზაზე, ქუთაისის სოიუზტრანსი ისე დანგრეულ მანქანებს აგზავნის, რომ, დილით გამოსული, საღამოთი ძლივს აღწევს შოვს. 8-9 საათს უნდებიან მგზავრები ამ გზაზე ჯაყჯაყს. შოვი დიდებული კეთილმოწყობილი, ლამაზი კურორტია, კარგ ჰაერთან ერთად, დამსვენებელს კარგი მომსახურება და სმა-ჭამაც ხვდება კიდევაც შოვში და მართლაც რომ ვაშა შოვს ამ გზაზე გალახული კაცის გამოკეთება რომ შეუძლია.

— ალბათ დამსვენებლებს გართობაც შესაფერი ექნებათ.

— გართობის მხრივ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ ქუთაისის კინოგაქირავების კანტორა სიძველეების მოყვარული არ იყოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, რაც ძველი კინოებია, ყველას აქეთ აგზავნის. ამის გამო იყო რომ შოვის კურორტმა კინოს გეგმა მხოლოდ 68% შეასრულა მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენი გადაჭარბებით ჰქონდა შესრულებული და პრემიაც დაჰკარგა. ბუნებრივია, დამსვენებლები სეირნობას არჩევენ, ვიდრე ძველი სურათის ნახვას.

კიდევ ბევრი რამ შემეძლო მეთქვა, თუნდაც ონის კავშირგაბმულობის შოვის საფოსტო განყოფილების შესახებ, სადაც ყველა ოპერაციას მხოლოდ ორი მოსამსახურე აწარმოებს, რაც დიდ სიძნელეებს იწვევს, კიდევ იმაზე, რომ შოვს პირდაპირი სატელეფონო ხაზი არა აქვს, ხაზზე ჩართულია ღები, ჭიორა, გლოლა და დასასვენებელი სახლის დირექტორს ბინაზე ურეკავენ და თხოვენ ამ სოფლებთან შეერთებას. იმისათვის რომ საქმე მოგვარდეს, საჭიროა 18 კილომეტრზე ხაზის გაყვანა და ერთი მუშაკის დამატება, მეტი არაფერი, მაგრამ სადაა პატრონი.

ჩვენ კიდევ გვინდოდა შეკითხვების მიცემა გიდისთვის, მაგრამ მან ბოდიში მოიხადა, უკვე რაჭის საზღვრებს გავცდით და ვეღარაფერს გეტყვით, სხვა დროისათვის გადავდოთო.

ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და გულთბილად დავემშვიდობეთ გიდს.

მომავალ შეხვედრამდე, ჩვენო ლამაზო რაჭა!

რაჭველიშვილები.



ნახ. ს. ლილუაშვილი

— რა არის ეს?
— ხელფასი, პატივცემულო დირექტორო!
— ჭრთამი არ შემომპაპარო, ბიბეო!

„დამნუეგი“ ფელეტონისტი

— შეიძლება, ბატონო!

— მობძანებლიან!

— მე ისევ ჩემი ფელეტონის შესახებ გეახლოთ, ბატონო! ხუთი დღეა დავდივარ თქვენთან და ჯერ კიდევ ვერ გადავწყვეტე ზოგიერთი საკითხი. გუშინწინ ფსევდონიმის თაობაზე შევგიწუხეთ, მაგრამ, ბევრი ფიქრის შემდეგ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ არაფერ და არაფერ კი ივარგებს ფსევდონიმის მიწერა. ხუსტი ფელეტონი რომ იყოს, კიდევ ჰო, ბატონო, მაგრამ, ასეთი ნაწარმოები ავტორი რომ არ გაიცნონ მკითხველებმა, პირდაპირ დანაშაულია. მეორეც, ბატონო, ვერ იქნა და ვერ შევაჩერე შესაფერი ფსევდონიმი, ჯერ იყო და შმობლები შევაწუხე საფლავში. დედის ან მამის სახელთან მინდოდა დამეკავშირებია ფსევდონიმი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ელპიტაშვილი და ჭიპიკოშვილი რაღაც ვერ ეფერს კარგად. შემდეგ ვიფიქრე, სოფლის ან მდინარისათვის დამეკავშირებია ჩემი მოგვარული სახელი. ჩვენთან ერთი პატარა მდინარე ჩამოდის, ბატონო, ბრაზუნა ჰქვია. მეც ავდექი და ბრაზუნასპირელი ავიარჩიე ფსევდონიმად. მაგრამ არც ეს დამიჯდა ჭკუაში. ასეთ მშვენიერ ფელეტონს რომ ბრაზუნასპირელი მივაწერო, მეთხველები ხომ იტყვიან: ვიცაა ეს, რომ აბრახუნებსო?

თქვენ, რა თქმა უნდა, წაკითხული გექნებათ, ბატონო, ჩემი ფელეტონი. დიდჟერ, რამდენს იცინებდით. ისე, კაცმა რომ თქვას, ასეთი ფელეტონი ერთბაშად არც ქე უნდა წაიკითხო, ბევრი სიცილით შეიძლება გული შეუწუხდეს ადამიანს.

ამას წინათ, ბატონო, მეზობლები მოვა-წვევე სახლში, კარგად რომ იაურმარილეა და გვარიანადაც გამოთვრნენ, ეს ფელეტონი წავკითხე მაშინ. იმდენი იცინეს, ბატონო, იმდენი, რომ მათი ოთახიდან სახლის ეკლიები გაიბზარა და ბათქაშმა დაიწყო ცვენა.

ახლა სახლში არ იკითხავ, ბატონო, ყველამ ზეპირად იცის ჩემი ფელეტონი. მარტო სათაური რომ უხსენოთ, სიცილით გადაპირდებიან. ბოდიში, ბატონო, ლაპარაკში კინაღამ დამავიწყეთ, რაც მთავარია. ვუშინ რომ გთხოვეთ, ბატონო, ჩემს ფელეტონს ჩემი გვარი და სახელი მოაწერეთ — მეთქი, მერე სახლში მთელი ღამე ამაზე ვფიქრობდი და დავიწყეს ეს ფიქრობდა, ფელეტონი რომ დაიბეჭდება, როგორ გაიგოს ხალხმა, ვინ არის ავტორი?

ამიტომ დიდი თხოვნა მაქვს თქვენთან, ბატონო!

ფელეტონს გვარი, სახელი და მამის სახელი —ჭაბუკო ჭიპკოს ძე ჭყრიალაშვილი მოაწეროთ ბოლოში.

ერთი თხოვნა კიდევ მაქვს, ბატონო. ფელეტონის მთავარი გმირი ვერ არის კარგად მონათალული. ბუუუჭია მაგივრად ყარამანი მინდა დავარქვა. სათაურიც ქე არის ცოტა შესასწორებელი, მაგრამ ყველაფერზე რაკა შეგაწუხოთ. ისე, ბატონო, რამდენ დღეში დაიბეჭდება ჩემი ფელეტონი? ყველა მოუთმენელად ელის მის გამოსვლას. მეზობლებმა და ნაცნობებმა პირდაპირ შემიკლეს ხელში ამ კითხვით.

— თქვენს ფელეტონს ჯერ რედაქციის მუშაკები წაიკითხავენ, შემდეგ კოლეგიაზე განხილავენ და გადაწყვეტენ დაიბეჭდება თუ არა.

— როგორ?! მთელი კვირა რედაქციაში ბატარეით და ახლა მეუბნებით. გადავწყვეტენ, დაიბეჭდება თუ არაო?! მე თქვენი ბავშვი კი არა ვარ ვარ. კაცს სამ თვეში სამივე წელი მისრულდა. მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა ავტორისა მოტყუება...

ნ. ნუკარიძე.

გამოუყენებელი ჰაერი

— ფუნიკულორი აქვს თბილისს? — მერე რა, ზუგდიდსაც აქვს.

— რესტორნები? — რამდენიც გნებავთ, მდიდრული, კეთილმოწყობილი, მწუთით და მზადი. ღომითია და სულუგუნით!

— პარკი? — ნუ იკითხავ. ზუგდიდს რომ პარკი აქვს, ისეთი, ნეტავი ყველა ქალაქს ჰქონდეს, არც ერთის არ დაადგებოდა ყელზე.

— ქეიფობა? — ეს ხომ ზუგდიდშია მოგონილი და აბა, ამ სამამულო ომის ტრადიციას გამგრძელებლები არ ეყოლება?

— ტანსპორტი? — არა გვგონია, რომელიმე რაიონმა დაიტაბახოს საკუთარი მანქანები ისეთი სიმრავლით, როგორც ზუგდიდშია.

რა გინდა, სულო და გულო, ყველაფერი ბლომადაა ზუგდიდში, სულუგუნიდან დაწყებული და გათავებული... უსაქმურებით.

სამწუხაროდ, უსაქმურებიც არიან ამ ქალაქში. არიან, იმიტომ კი არა, რომ სამუშაო არ არის, როგორ გეკადრებათ! საქმე ზუგდიდში თავსაყრელია, კამეჩების ქარხანა ბნეზავი თუ ლიმონათის, ჩაის ფაბრიკები თუ ჩაის პლანტაციები, სიმინდის ყანები თუ ბაღ-ვენახები, ქალალის კომბინატი თუ ჰესის მშენებლობა, — ყველგან უამრავი მუშა ხელი სჭირდებათ და სხვადასხვა სპეციალობის ადამიანი, ოღონდ მუშობა გინდოდეს, პატიოსანი შრომა გიზადავდეს და მიდი, ბატონო, გაისარჯე, და შრომაც დაგიფასდება და შრომის ნაყოფიც დაგიხვავდება.

ისეთ, ქალაქში, როგორიც ზუგდიდია, შრომის ფერხულში ჩაბმულ ადამიანთა საქმიანობის ფონზე უსაქმეური ადამიანი მაშინვე იქცევა წეთელ კოჭად, რომელსაც ყველა ამჩნევს, რომელზედაც ყველა უთითებს, რომელიც ყველას ეჯავრება, ეზარება კიდევ, ეიოდება კიდევ. რადგანაც დროდადრო ზარმაცობაც და „სხვის კისერზე ჯდომა-წოლის ხელოვნებაც“ სნეულებასავით გადამდებია.

ერთი დამახასიათებელი ჩვეულება აქვთ უსაქმურებს: თავიანთი ბუნებაც დატოვეს არა და არ სუფთა. ისე არიან ზუგდიდელი უქნარებიც. რომლებსაც საკუთარ რაიონში მთქნარება ურჩევნიათ, სხვაგან მოქნარებას.

არც ისე ადვილი გამოსაცნობია უქნარა. ზეხედავ, ჯანღონით სავსე ახალგაზრდაა, დუქან დაუჯიდება, ჭამაზე ერთ ქვაბ ღომს არ დაჯიდება და დასალევად ქვეკერი ღვინო არ ეყოფა, შუბლზე აბარიბიელოს ვერაფერს ამოიკითხავთ და მაინც მოხერხდა ისე, რომ რაიონის ბევრ უქნარას რკინიგზის ბილეთი აიღო მილიციამ და თავაზიანად და მოწიწებით გისაცილა სამი-ხუთი წლით სხვა რაიონში. იქ კი, როგორც ამბობენ, კოტრიალისა და მთქნარებისათვის არავითარი პირობები არა აქვთ შექმნილი.

იყო დრო და არცთუ ისე დიდი დროა გასული მას მერე, რაც ზუგდიდელი უსაქმურების „სტეტმართველაურობათ“ მოხიბლული მეზობელი რაიონები უქნარები გამაღლებით და ხშირ-ხშირად მიეშურებოდნენ ზუგდიდისაკენ საქეიფოდ... მაგრამ ახლა ეგ დრო დადგა... მილიციის მუშაკებმა (განყოფილების უფროსი არსენ გაგუა) დიდი მუშობა ჩატარეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების სულგანმტკიცებლად. მათ თავი მოუყარეს ისეთ „ვაკაციანებ“, რომლებიც თავს არიდებდნენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილების საფუძველზე, ქალაქიდან გასახლებულნ პარაზიტებს და უქნარებს წითელზოლიანი მანქანები მოთავეს, ფეხით სიარული როგორ ეკადრებათ, ჩაბრძანდნთ, ძმა-კაცებთან ერთად ეგასეირნენთ და გასართობაც გაგიჩენთო,

— ეხარეს და გიუჩინეს კიდეც.

ასე ჩაანაბა შრომის ფერხულში არა ერთი და ორი ახალგაზრდა, ასე აქციეს ისინი სრულფასოვან მოქალაქეებად, მაგრამ ზოგიერთმა იოანა შრომა, ეკ[illegible]ადგილ და შეუშვეროა თავი, დღემდე ჩიტივით ეხტიუნელად მიეხოვრია, დრო მიტარებია, ხელოვნური თანატოლები მასხარად ამიდგია, და მაინც ეხვეზეზე უკეთ ჩაბიცამს, მიჭამია, დავმტკბარკარ ამქვეყნიური სიამით და ამიერიდანაც ასე ვიცხოვრებო.

შრომას თავს რატომ არიდებო, რომ ჰკითხეს: არაო, ეტორო, შრომას თავს არ ვარიდებ, მაგრამ ზუგდიდში თავისებური ჰაერია, თვლემას იწვევს და ეს ჩემი ბრალიაო, — მოუფიქრ.

ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობა ღრმად ჩაიგონა ასეთმა „ბრძნულმა“ პასუხმა. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს გადაწყვიტეს, რადგან არ უნდა ეფიქრდეს. ვუშველოთ ამ „შრომამოწყურებულ“ ახალგაზრდებს. ჰაერი გამოვუცვალოთო.

გადაწყვეტა და შესრულება ერთი იყო. უსაქმურებს გამოუცვალეს ჰაერი 2-5 წლით. მიაბრძანეს სხვა რაიონში და სამშობლოც მიუჩინეს.

მაგრამ ჰაერგამოცვლილთა ერთმა ჯგუფმა: გენო ოკანეკა-ძე ლეფსიანიძ, აკაკი ისიდორეს-ძე ბახალიან, ვენგელი პლატონის-ძე ბოკუჩავამ, ინგეზმა კონდრატის-ძე შენგელაიმ, სილეხეი სევერიანეს-ძე ბახიამ, ბოხდო ადამის-ძე ხაფავამ, ვალიკო ისაფონის-ძე ანთიამ, ომეფი კუუბუნის-ძე ჩიკვინანმა, მოკოდია შოთას-ძე გუუსეამ და ალეკო ვახტანგის-ძე კუკოდელიანმ, ჩავიდნენ თუ არა დანიშნულების ადგილს, დაჰკრეს ფეხი და უკანვე დაუბრუნდნენ შრომელიერ ზუგდიდს. ახლა მათ მყურნალობა ხელახლა უნდა დაიწყონ და „წამლის“ შეცვლილმა. დოზამ, ვინ იცის, იქნება გამოიღოს ნაყოფი.

ეკმიტნი ამბობენ, ჰაერის გამოცვლა ადამიანს უხდებაო. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ეკმეტს, მაგრამ ერთი რამ უნდა დაეძინოთ: ისეთი ლონისძიება, ჰაერის ასეთი გამოცვლა, ზუგდიდელ სხვა უქნარებსა და სხვა რაიონების სხვა უქნარებსაც მოუხდებათ. ამიტომაც, ნე დავიზარებთ, ჭგეობრებო, ვიზრუნოთ ძალიანმოყვარულთა, ერთის სიტყვით, უქნარათა, ამ ცხოვრების პარაზიტთა, მუქთახორათა გამოსაკანსაღებლად, რა დიდი ვმბაკია, მოვამარაგოთ „საგზურებით“, გამოვუცვალოთ ჰაერი, და იმედი ვიქნეთო, რომ ისინიც დამოკანსაღდებიან, ჩაებმებიან შრომის საერთო ფერხულში.

გამო.

ნახ. ბ. ბუბნაძისა

— თქვენი შვილი ოხეე ჩაიგრა მისადებ გამოცდებზე?
— ინტერესი აქვთ, გენაცვალე, ინტერესი, აბა, ბაღანამ მთელი ქვეყანა შემოიარა და გეოგრაფია არ ეცოდინებოდა?!

რა მეგონა და რა ყოფილა

ჩემმა ქმარმა ისეთი ხელანთი შეიძინა, როგორსაც ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები ატარებენ. ჯელ სიხარულით შეშეკეფშა, ვიფიქრე, ალ, როგორც იქნა, ამიჰდა ნატეტა, დაიწყო ჩემმა ქმარმაც დისერტაციაზე შუშაობა. ჯერ, ალუალი, შავად წერს და, როცა მოიამბს თავს, მეტყვის და გამახარებს-მეთქი. ფეხაკრეფით დადიოდა მთელ ოჯახი, ოღონდ ეს სულერ ბაგიდან მოკრძალებდა, სათვალეს გიკეთებდა და სათბობი ჩაპკრეტებდა ოალაკას, წერდა, ხაზავდა, ხატავდა და ფურცლებზე ფუტავდა.

შუადამისას ადგებოდა, ჩაიცვამდა და, ხელი რომ არავინ შეეშალა, მოეყოლებოდა თავის სამეშაოს. ვეღი სიამით მეგსებდა, როცა ვავიფიქრებდი, რომ ქმარი მაღე რომეეიდეს მეცნიერების კანდიდატი გახდებოდა და მეც მეზობელ იზნოლასავით თავს მაღალ ავწევდი და ვიტყოდი:

— „ჩემი ქმარი „ნაუჭნი რაბოტნეკია“...

ერთ დღეს გადაეწყვიტე, მეხანა მისი საღისერტაციო შრომის თემა. ვიხეელთე დრო და ეეცო მის ხელჩანთას, ამოვალაგე ქაღალდები დასტა და...

... ეთო, შენს კიტენშას, მე დღე დამადგა. პირველ გვერდზე თბილისის „დინამოს“ გენერალ ეეე

...ეკონომიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი რომელზედაც სიტყვა უნდა ჩამოვაგდოთ, ცხრა მთას იქით კი არ მდებარეობს, აგერაა, სოხუმში, ლენინის ქ. № 7-ში, ლაკობაძს ქუჩის კუთხეში.

როცა ეს სახლი აუშენებიათ, ინჟინერს სულაც არ უფიქრია იმაზე, რომ იგი მუდმივად და ფერუცვლელად დაამშვენებდა ქუჩას და შეიკედლებდა საყვარელ ბინადრებს. ინჟინერი ჭკვიანი კაცი იყო და ზეპირად იცოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჟამთასვლისაგან, ასე ვთქვათ, შებერტყილ სახლს, ერთხელაც იქნებოდა, რემონტი დასჭირდებოდა.

დრომ თავისი გაიტანა და დაამტკიცა მშენებელი ინჟინრის ნაფიქრალი, მის ნახელავსაც ისე მოუქცია ყბა, რომ, რემონტის გარეშე, შიგ ცხოვრება საშიშარი გახადა.

როცა სახლი კერძოა, კერძო მფლობელი პატრონობს მას და, კარგად თუ ავად, საზოგადოებაში გამოსაჩენს ხდის, მაგრამ, როცა სახლი ქალაქის საბჭოს ეკუთვნის, წესისა და რიგის თანახმად, მას ქალაქის საბჭომ უნდა უპატრონოს. მაგრამ, საუბედუროდ, სახლის მოვლა-პატრონობა მარტო ბინის ქირის აღებით სულაც არ ამოიწურება, საჭიროა სახლს შეუკეთდეს მინგრეულ-მონგრეული კიბეები, ბათქაშაცლილი კედლები, ამოცვენილი იატაკი, ახდილი სახურავი, ერთის სიტყვით, სახლი დაემგვანოს სახლს.

საქმეც ისაა და უბედურებაც იმაშია, რომ მოძველდა ზემოთ ხსენებული სახლი, მხდალი და მშიშარა არავინ არ ცხოვრობდა შიგ, მაგრამ შეეშინდათ მაინც მაცხოვრებლებს და უხშირეს და უხშირეს სახლმმართველ შოთა ოჩიგავასთან არზებით სიარულს, ესაო და გვიჭირს და გვიშველეთ, მოიღეთ მოწყალება და, როგორმე ისე გააკეთეთ, რომ სახლი თავზე არ დაგვენგრეს, ჩვენც არა ვართ ზედმეტი ქვეყნისათვის, საჭირო ხალხი ვართ და ნუ გაგვწირავთ, სახურავიდან წვიმა ჩამოდის, ჭერი საცაა ჩამოინგრევა და ზღართანს მოადენს იატაკზე. სანიტარული კვანძები უმოქმედოდაა ზემო სართულ-

ზე, კიბეები ყოველ ამსვლელ-ჩამომსვლელს სიკვდილით ემუქრება, — ჰოდა, გვიშველეთ, შეგვიკეთეთ სახლიო.

დაამშვიდეს სახლის ბინადარნი: ეჯიბიაც, ოდიშარიაც, კაპანაძეც და მრავალი სხვაც, ნუ გეშინიათ, ჩვენ ვიცით და ჩვენმა კაცობამ, გიშველით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გიშველით. აბა, ასე რომ არ მოვიქცეთ, ქვა ხომ არ გვიდევს გულის მაგვრადო.

ითქვა შეპირება, შეირხა ჰაერი და მიყუჩდა ყველაფერი.

ამასობაში სახლი უფრო და უფრო ინგრეოდა და ვერანდებოდა, ისევ იწერებოდა საჩივრები, დაპირება ისევ მისდევდა დაპირებას, მაგრამ უშედეგოდ.

ბოლოს გალღვა ყინული. მოულბა გული ვისაც ჯერ არს, გამოიგზავნა ორი ბრიგადა, რომელთაც ებრძანათ ხელიხელჩაკიდებულად ემუშავათ და მოეყვანათ სახლი წესრიგში.

დატრიალდნენ ბრიგადები. მოზიდეს სამშენებლო მასალა, შემოლობეს ეზო, დახვავდა აგური, ცემენტი, გაჯი და გაჩაღდა მუშაობა.

ერთმა ბრიგადამ სახლის კუთხე მოარღვია უმოწყალოდ, მეორემ სახურავი აადღლიზა სახლს... და მიყუჩდა ყველაფერი და მობინადრეთა უდროო აღტაცებას უდროოდ მოეღო ბოლო, მერემონტეები ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ, ვერავინ გაიგო. წავიდნენ და სახლის შერემონტების სანუკვარმა საქმეებმაც წაიღო თქვენი ჭირი.

მერემონტეთა კვალდაკვალ გაქრა მოზიდული აგურებიც, ცემენტიც, გაჯიც და სხვა საშენი მასალებიც... ისევ აღშფოთდნენ მობინადრენი, მაგრამ მათი აღშფოთება არც სახურავად მოერგო სახლს, არც კედლების მაგივრად გამოდგა, არც კიბის მაგივრობა გასწია. ზოგი ბინადარი მონჯღრეულ კიბეზე დაშავდა და ფეხმოტეხილს საავადმყოფოში ამოაყოფინეს თავი.

და ახლა ვკითხულობთ ჩვენ, ნუთუ ქალაქის საბჭო იმიტომ აჭიანურებს ამ სახლის რემონტის დამთავრებას, რომ საკურორტო სეზონის დროს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და, აგრეთვე, საზღვარგარეთიდანაც ჩამოსულ ათასობით ტურისტსა და დამსვენებელს დაანახოს თავისი მუშაობის „გაჭიანურებული სტილი", ანდა უნდა, რომ სარემონტო სახლის ყველა ბინადარს მოტყდეს თავი და ფეხები, რათა არავინ დარჩეს მომთხოვნი და მომჩივანი და თვითონ დაიარხეინონ თავი, არაფერი აკეთონ და საქმე მაინც ჩინებულად მიუდიოდეთ?

ასეა თუ ისე, დროა ქალაქის საბჭომ ერთხელ კიდევ გაიხსენოს ეს ერთხელ რის ვაი-ვაგლახით გახსენებული სახლი და მისი რემონტი, ბოლოს და ბოლოს, ბოლომდე მიიყვანოს.

ი. გერსამია.

— ჩვენი მაღაზიის გამგე ფეხით რომ დადის, „ვოლგა" ხომ არ გაყიდა?

— ასე ამბობს, ექიმებმა ფეხით სიარული მირჩიეს და ბანქანა მეზობელს ვაჩუქეო!

მოპარული ულუფა

ღორის ყველა დადებით და უარყოფით თვისებას კარგად იცნობდნენ პატარა ფოთის მეღორეობის მეურნეობის დირექტორი ვალერიან გოგინავა და მისი ავანჩავანნი. ყველაზე მეტად კი ღორის ერთ თვისებას აფასებდნენ მეურნეობის მესვეურები, კერძოდ იმ თვისებას, რომ ღორს არ შეეძლო შედგენილი აქტის წაკითხვა, არ შეეძლო განცხადებისა და საჩივრის დაწერა. თურმე ნუ იტყვით და კიდევ ერთი თვისება ჰქონია ღორს, ვერა და ვერ ეგუება დაბალ ჰაერს, მის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს და უდროოდ ატოვებინებს წუთისოფელს. ფოთში კი, სამწუხაროდ, დაბალი ჰაერია.

ეს კიდევ არაფერი, პატარა ფოთის მეურნეობის ღორებს განსაკუთრებული მადა აღმოაჩნდათ, თუ ჩვეულებრივი უპრეტენზიო ღორი პატრონს ერთ კილოგრამ ხორცს თავაზობს შვიდ საკვებ ერთეულზე, ფოთის მეურნეობის ღორები რვა, ცხრა და ათ ერთეულსაც არ კმარობდნენ, და თანაც ყოველწლიურად ეზრდებოდათ მოთხოვნილება. თუ 1960 წლისათვის ერთი კილოგრამი ხორცის საწარმოებლად დასჭირდათ 12,5 საკვები ერთეული, 1961 წელს ეს ციფრი 13,5-მდე ავიდა, ხოლო 1962 წლის პირველი კვარტალისათვის — 16 საკვებ ერთეულამდე. თითქოს და ჩვენს წინ ტალახში მოგორავე, მაგრამ მაინც ნამუსგარეცხილი ღორები იყვნენ, რომლებიც საკუთარი სტომაქის იქით არ იყურებოდნენ, მაგრამ, არა, ასე როდია საქმე!

გოგინავამ, იცოდა რა, რომ ღორი ბუნებით არ არის ინტრიგანი და უკმაყოფილებას მხოლოდ ღრუტუნით გამოთქვამს, მიუშვა აღვირები ფერმაში და ეძგერენ ფერმის მუშაკებიც ღორის ულუფას.

შეიქმნა ჯადოსნური წრე. ღორებს აკლებდნენ ულუფას, აქტებში კი საკვებს ზღაპრულად ზრდიდნენ, აქაო და მადაზე არიან მეურნეობის ღორებიო, ღორები უწყალოდ იხოცებოდნენ. სამაგიეროდ, აქტებით შედგენილი საკვები იყიდებოდა და მიღებული ფულის ნაწილიდან ხდებოდა ღორების „მკვდრეთით აღდგომა“, ნაწილი კი, გოგინავასა და მეურნეობის მოლარე-მოანგარიშე ალიოშა სანაიას თქმით, იხარჯებოდა პირადი შეხედულებისამებრ. ასე, მაგალითად, ფოთის ბანკის მმართველ ჩიქოვანს მიერთვა ორმოცდაათი მანეთი პატივისცემის ნიშნად, ოცდათვრამეტი მანეთი ჩამოსული სტუმრების საპატარმარილოდ, რვა მანეთი სტუმრის რკინიგზის ბილეთისათვის, და ასე შემედგ.

მეურნეობის მუშაკებს „კეთილსინდისიერად“ ჰქონდათ განაწილებული სახელმწიფო ქონების განიავების საქმე. მოლარე-მოანგარიშე სანაიას ევალებოდა ფონდირებულ-კომბინირებული საკვების გაყიდვა კერძო პირებზე, ფერმის გამგეებს ივანე თოფურიასა და გიორგი გვალიას კი ამ გაყიდული საკვების გაფორმება ფურაჟად და ყალბი უწყისების შედგენა, (ვითომდა ამ საკვებით ღორებს ჩაეკოკლოზინებინოთ პირი), მესაქონლეობის მეურნეობის საწყობის გამგე დურუ ნასარაიას — სიმინდისა და კომბინირებული საკვების გაყიდვა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დურუმ მისი ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა და 2559 მანეთი წააცანცლა მეურნეობას.

მემინდვრეობის ბრიგადირს შოთა შონიას შეთავსებით ევალებოდა შეშის განიავება, რომელიც „პირნათლად“ შეასრულა და 741 კუბიკური მეტრი შეშა თვალსა და ხელს შუა გაქრა. სიმინდის საწყობის გამგე კირილე პაპავას კი რა უნდა დავალებოდა, თუ არა სიმინდის გაიმასქნება, მაგრამ კირილემ იმდენი მოახერხა, რომ 14.443 კგ სიმინდის გარდა 49 კუბ. მეტ. შეშაც ააორთქლა.

რა ევალებოდა გოგინავას? რა თქმა უნდა, კონტროლი, და ისიც ყოველ წელიწადს ადგენდა საინვენტარიზაციო კომისიას. რომლის თავმჯდომარედაც ნიშნავდა თავის თავს, კომისიის წევრებს არ ტვირთავდა შრომით, თვითონაც ხუჭავდა თვალებს, და ინვენტარიზაციაც ტარდებოდა ფორმალურად, ისე რომ, არავის გული არ ტკენოდა და ღორის ულუფით მინიჭებული სიამოვნება არავის ჩაშხამებოდა.

მაგრამ ღორის ულუფა საკმაოდ ძვლიანი აღმოჩნდა და კომბინატორებს ყელში გაეჩხირათ. რა თქმა უნდა, ძნელია 750.223 საკვები ერთეულის მითვისება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ რაოდენობის საკვებს შეეძლო 18 ათასამდე კილოგრამი ხორცი მოეცა.

მწარე ყოფილა მოპარული ულუფა.

ორნი.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— რას გავს ეს, ერთ ბოთლ ლიმონათში აბაზს შახდევინებთ?!

— ბოდიში, ბატონო, მე მეგონა ბოთლიანად დალიეთ!

რედაქტორი **ნ. შველიძე.**

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გაზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—1-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 29/VI-1962 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № შეკვ. № 1286, უე 09154 ტირაჟი 40.000

62-367
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარაგზის ყაჩაღები.

ნახ. გ. ლომიძისა